

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 22 თებერვლის
დადგენილება № 407

“სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის
ინსტრუქციის” ცვლილებათა შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიცვალოს “სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის” მე-5 მუხლის მე-7 და მე-14 პუნქტები და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5.7. საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით, აღნიშნული პროგრამის დასასრულებლად სწავლა გააგრძელოს დამატებითი სემესტრების განმავლობაში: ბაკალავრიატში – არა უმეტეს 4 სემესტრისა, სწავლების დანარჩენ საფეხურებზე (დიპლომირებული სპეციალისტის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე) – არა უმეტეს 2 სემესტრისა. თუ გეგმური ვადის ამოწურვისას სტუდენტის აკადემიური დავალიანება ბაკალავრიატში აღემატება 120 კრედიტს, ხოლო სწავლების დანარჩენ საფეხურებზე – 60 კრედიტს, სტუდენტს უფლება აქვს ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ შეიცვალოს სპეციალობა. დამატებით სემესტრში/სემესტრებში სწავლის გაგრძელების, ან სპეციალობის შეცვლის თაობაზე მან საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს. სტუდენტთან ფინანსური და სასწავლო ხელშეკრულებები უნდა გაფორმდეს შესაბამისი საუნივერსიტეტო ბრძანების საფუძველზე, მისი გამოსვლიდან არა უგვიანეს ერთ კვირაში. სწავლების დამატებით სემესტრში/სემესტრებში გასავლელი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 4.5 პუნქტის მიხედვით. სტუდენტისთვის სწავლების დამატებით სემესტრში/სემესტრებში გასავლელი სასწავლო კურსების შესაბამისი ღირებულება განისაზღვრება 5.5 პუნქტის თანახმად, ბოლო სასწავლო წლის სწავლის საფასურის მიხედვით, ხოლო სპეციალობის შეცვლისას სწავლების წლიური საფასური და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში დამატებით გასავლელი სასწავლო კურსების ღირებულება იქნება იგივე, რაც დადგენილია მიმღები ფაკულტეტის სწავლების იგივე საფეხურის და წლის სტუდენტებისათვის.

5.14. საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს, რომელიც 5.7 პუნქტში

მითითებულ ვადაში განცხადებით არ მიმართავს რექტორს დამატებით სემესტრში/სემესტრებში სწავლის გაგრძელების ან სხვა სპეციალობაზე გადასვლის თაობაზე, დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. აღნიშნულმა სტუდენტმა საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების ან სპეციალობის შეცვლის მიზნით სტატუსის აღსადგენად განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს სემესტრის დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

2. მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი ამოქმედდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 სექტემბრის №307 დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 17 სექტემბრის №51 სხდომის №1 გადაწყვეტილებით მიღებული ცვლილებების დამტკიცების შემდეგ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიური საბჭოს მდივანი

ა. ფრანგიშვილი

გ. სალუქვაძე